თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

2024 წლის 26 აპრილს, პარასკევს, 16 საათზე, თსუ პირველი კორპუსის 212-ე აუდიტორიაში ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 24 წევრი: პროფ. ნანა გაფრინდაშვილი, პროფ. თინა დოლიძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე, პროფ. ვახტანგ ლიჩელი, პროფ. კახაბერ ლორია, პროფ. თეიმურაზ პაპასქირი, პროფ. ირმა რატიანი, პროფ. ვალერიან რამიშვილი, პროფ. მანანა რუსიეშვილი, ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე, პროფ. ზაზა სხირტლაძე, პროფ. დარეჯან გარდავაძე, პროფ. ნანა ტონია, პროფ. რამაზ ქურდაძე, პროფ. ნინო ჩიქოვანი, ასოც. პროფ. თეა წითლანაძე, ასოც. პროფ. ნინო წერეთელი, პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე, პროფ. დემურ ჯალაღონია. სტუდენტები: მარიამ სეხნიაშვილი, ნინო გაბრიჭიძე, მარიამ მახარობლიძე, ლუკა მამალაშვილი, საბა გიორგაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი თამარ მოკვერაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსო ეკატერინე ნავროზაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია) ფიქრია ვარდოსანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (სასწავლო დარგში) ზვიად მურადაშვილი,

სხდომის თავმჯდომარე - ფაკულტეტის დეკანი,
პროფ. ნანა გაფრინდაშვილი

მდივანი - ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგის დამტკიცებას და ერთხმად მოიწონეს.

მოისმინეს 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიმართა:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 21–ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 5 მარტის №22/2014 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო აცხადებს დეკანის არჩევნებს.

მან წარუდგინა საბჭოს წევრებს დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების პროექტი (დანართი1) და შესთავაზა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს, კენჭი ეყარათ ამ საკითხისთვის.

გაიმართა კენჭისყრა: მხარი დაუჭირა საბჭოს 24 წევრმა, წინააღმდეგი: 0; თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს:

1. გამოცხადდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტის) დეკანის არჩევნები;

2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2024 წლის 14 ივნისს, 14.00-17.00 სთ.;

3. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველ პირთა განცხადებები მიიღება 2024 წლის 27 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით (10.00-18.00 სთ.) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1 , თსუ-ს I კორპუსი, ოთახი N 207.

4. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
   4.1 განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის ვინაობა, საცხოვრებელი

მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება;

4.2 განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) ორი ფოტოსურათი (3X4);

დ) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია;

ე) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

4. 3.ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი წინამდებარე განცხადების მე–3 პუნქტით დადგენილ ვადაში ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარადგენს ამავე განცხადების 4.1 და 4.2 პუნქტებში მითითებულ დოკუმენტაციას.

5. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები წესრიგდება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 5 მარტის №22/2014 დადგენილებით https://www.tsu.ge/ka/legalakad/39483

მოისმინეს 2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, მიმართა ფაკულტეტის წევრებს: თსუ წესდება (კერძოდ ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.“ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დეკანის თანამდებობა მიეკუთვნება ადმინისტრაციულ თანამდებობათა კატეგორიას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ,,2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.“ მოგეხსენებათ, რომ ამავე წესდების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკანს თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დეკანის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნას ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ეს იძლევა უფლებას, საბჭოს გადაწყვეტილების შემთხვევაში არ დაწესდეს ასაკობრივი შეზღუდვა დეკანის არჩევნების დროს. ვფიქრობ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩანაწერი, რომლის გამოყენება ფაკულტეტის საბჭოს საშუალებას მისცემს, კონკურსში მონაწილების უფლება მისცეს უფრო მეტ ღირსეულ ადამიანს, გააფართოვოს შესაძლო კანდიდატთა წრე, ჩაატაროს გამჭვირვალე, დემოკრატიული და ობიექტური არჩევნები და არჩევანი გააკეთოს კანდიდატთა შორის შორის ყველაზე უფრო ღირსეულზე მისი ასაკის მიუხედავად.

მან შესთავაზა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ემსჯელათ ასაკობრივი შეზღუდვის საკითხზე.

აზრი გამოთქვეს პროფ. კ. ლორიამ, ასოც. პროფ. ნინოი წერეთელმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ასაკობრივი შეზღუდვის მოხსნას და ითხოვეს კენჭი ეყარათ ამ წინადადებისათვის.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, შესთავაზა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი წინადადებისათვის.

გაიმართა კენჭისყრა: მხარი დაუჭირა საბჭოს 24 წევრმა, წინააღმდეგი: 0; თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საბჭოს გადაწყვეტილებით გამოცხადებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეკანის არჩევნებში თსუ წესდების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ დაწესდეს ასაკობრივი შეზღუდვა.

სხდომის თავმჯდომარე: /ნანა გაფრინდაშვილი/